პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი

# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

5 სექტემბერი, შაბათი, 1987 წ. ◆ № 10 (3012) ◆ 5 СЕНТЯБРЯ, СУББОТА, 1987 Г. ◆ ფასი 3 კაპ. ЦЕНА 3 КОП.

## დადგა სექტემბერი, დაიწყო ახალი სასწავლო წელი!

### ახალი ამოცანები

**ახალი** სასწავლო წლის დაწყებას მიეძღვნა რამდენიმე დღის წინ რუსთავში გამართული შრომა-გამასწორებელ დაწესებულებებთან არსებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფტექსასწავლებლების პედაგოგთა აქტივის სხდომა.

სხდომაზე განიხილეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და პროფტექსასწავლებლებში რეფორმის განხორციელების საკითხები სკკპ ცენტრალური კომიტეტის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე.

აღინიშნა, რომ მიუხედავად გარკვეული დადებითი ძვრებისა ამ მხრივ კვლავ ბევრია გასაკეთებელი. კერძოდ, გააქტიურებას მოითხოვს სპეცკონტინგენტთან მასობრივ-პოლიტიკური და ინდივიდუალური აღმზრდელობითი მუშაობა, ენერგიული ზომებია მისაღები სასწავლო ბაზის მატერიალურ-ტექნიკური მხარის გასაუმჯობესებლად, აღმოსაფხვრელია სწავლაში ფორმალიზმის ელემენტები და სხვა.

აქტივზე მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

### პროფილაქტიკის მიზნით

**25 აგვისტოს გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება შიდსის ვირუსით დაავადების პროფილაქტიკის ღონისძიებათა შესახებ. ბრძანებულება ითვალისწინებს შიდსით დაავადებულთა იძულებითი მკურნალობის ღონისძიებებს, რაშიდაც საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობას მიიღებენ შინაგან საქმეთა ორგანოები.**

**კანონის დამრღვევებისადმი დადგინდა** სისხლის სამართლის **სასჯელის ზომა. ბრძანებულება გამოქვეყნდა ცენტრალურ რესპუბლიკურ გაზეთებში.**





## НОВЫЕ ВЫСОКИЕ ЗАДАЧИ

### СТОЯТ В НАЧАВШЕМСЯ УЧЕБНОМ ГОДУ ПЕРЕД КОЛЛЕКТИВОМ ТБИЛИССКОГО ФАКУЛЬТЕТА МВШМ МВД СССР

Хмурым и ненастным выдался день I сентября — начало нового учебного года — в Тбилиси. Осень, словно торопясь вступить в свои права, покрыла весь город тонкой паутиной дождя. Однако непогода нисколько не повлияла на приподнято-праздничную обстановку, которая царила в этот день во всех учебных заведениях столицы республики, в том числе и на Тбилисском факультете МВШМ МВД СССР.

9.00. Перед празднично оформленной трибуной замерли стройные шеренги курсантов факультета. Здесь и слушатели старших курсов, уже освоившие многие основы своей будущей профессии, и те, кто в этом году впервые займет места за партами в аудиториях факультета.

На трибуне — руководители, профессорско-преподавательский состав факультета. Торжественный митинг открыл начальник факультета генерал - майор милиции Д. Микеладзе, который поздравил курсантов с началом нового учебного года, выразил надежду, что в период учебы в стенах факультета они получат прочные и глубокие знания, станут подлинными чекистами - профессионалами, высококвалифицированными специалистами, настоящими мастерами своего дела.

Нынешний год, отметил начальник факультета, особый для всех советских людей — год 70-летия Великого Октября и 70-й годовщины советской милиции. Все это налагает на всех курсантов и преподавателей особую ответственность, требует от них полной самоотдачи для повышения эффективности учебного и идейно-воспитательного процессов, всей работы факультета, коллектив которого должен внести свой вклад в перестройку системы образования, быть на передовых рубежах преобразований, происходящих сейчас во всех сферах жизни советского общества.

Выступившие на митинге заместитель начальника факультета по политчасти подполковник милиции Ю. Забояркин, заместитель начальника по учебной части подполковник милиции Г. Месхи, преподаватели, слушатели отметили, что на факультете делается все возможное для устранения имевшихся в прошлом недостатков — укрепляется дисциплина, повышается квалификация преподавательского состава. Все это создает предпосылки для того, чтобы слушатели с первых же дней активно включились в напряженный ритм учебы.

На факультете действительно идет большая работа по совершенствованию и перестройке учебного процесса, упор в котором в нынешнем году делается на повышении уровня практических профессиональных навыков курсантов, в первую очередь по линии УР. С этой целью увеличено время прохождения слушателями практики на III курсе и стажировки на VI курсе, добавлены часы на

(окончание на 2-ой стр.)

## ОТЧЕТЫ И ВЫБОРЫ В ПАРТГРУППАХ

Во всех партгруппах Гагрского ГОВД, согласно утвержденному графику, прошли отчетно-выборные собрания. Существенную практическую помощь партгруппам, партийному активу ГОВД в организации и проведении собраний оказали Гагрский городской комитет Компартии Грузии, политический отдел МВД Абхазской АССР. В работе всех собраний приняли участие работники аппарата, члены и кандидаты в члены Гагрского ГК КП Грузии.

Собрания прошли в атмосфере гласности, критики и самокритики. Коммунисты вели смелый, откровенный разговор о всех недостатках, предлагали конкретные меры по их устранению.

Наибольшую активность в организации и проведении отчетно - выборных собраний проявили коммунисты капитан милиции В. Цацуа, капитан милиции Г. Шонна, капитан милиции К. Хагуш, майор милиции Е. Закарян, младший сержант милиции Д. Бганба, младший сержант милиции Т. Джанашия и другие.

Критические замечания и предложения, высказанные коммунистами на собраниях проанализированы, обобщены и изучены партийным бюро первичной парторганизации Гагрского ГОВД, принимаются меры по их практической реализации.

Итоги прошедших отчетно-выборных собраний в партгруппах показали, что коммунисты Гагрского ГОВД полны решимости быть на передовых позициях в борьбе за укрепление социалистической законности, улучшение охраны общественного порядка, законных прав и интересов граждан.

С. ГЕВОРКЯН,
капитан милиции, начальник политической части Гагрского ГОВД.

**ПАРТИЙНАЯ ЖИЗНЬ** | **პარტიული ცხოვრება**

### პრინციპულად — ნაკლოვანებებზე

ამ დღეებში რუსთავის შს საქალაქო განყოფილებასთან არსებულ მიმღებ-გამანაწილებელში გაიმართა პარტიული ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრება.

გაწეული მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა პარტიული ჯგუფის ორგანიზატორი ა. ალექსანიანი. მომხსენებელმა გაანალიზა ჯგუფის კომუნისტების მუშაობა, აღნიშნა არსებული ნაკლოვანებები, მათ შორის შეეხო მიმღებ-გამანაწილებლის ახალი შენობის გაჭიანურებულ მშენებლობას და სამსახურის ადგილობრივი კადრებით დაკომპლექტების პრობლემას.

კრებაზე გაიმართა პრინციპული საუბარი დისციპლინის განმტკიცებისა და თანამშრომელთა მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის საქმეში კომუნისტების ავანგარდულ როლზე.

საანგარიშო პერიოდში მიმღებ-გამანაწილებლის პარტიული ჯგუფის მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა. პარტჯგუფორგად კვლავ აირჩიეს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების ოპერრწმუნებული, მილიციის ლეიტენანტი ა. ალექსანიანი.

ი. ლეჟავა,
რუსთავის შს საქალაქო განყოფილების პოლიტნაწილის უფროსი, მილიციის კაპიტანი.



**სურათზე:** მიმდინარეობს საანგარიშო-საარჩევნო კრება.

# НОВЫЕ ВЫСОКИЕ ЗАДАЧИ

ОКОНЧАНИЕ.

проведение занятий по физической подготовке, планируется введение курсов по оперативно - розыскной психологии и основам информатики и вычислительной техники. Для повышения качества обучения все учебные группы с нынешнего года разбиты на подгруппы, что позволяет уделять больше внимания индивидуальной подготовке слушателей.

Проведена в преддверии нового учебного года и большая работа по совершенствованию материальной базы факультета. Совершившие с нами небольшую экскурсию по учебным помещениям факультета старший инспектор учебного отдела старший лейтенант милиции А. Чиблиев и преподаватель кафедры ВСД и ФП капитан милиции Г. Папунашвили рассказали о проделанных и ведущихся сейчас ремонтных работах. Так, в настоящее время на хорошем уровне подготовлены к занятиям аудитории, заканчивается ремонт первого корпуса общежития и т. д.

Особо следует выделить реконструируемый сейчас спортивный зал профподготовки, работы в котором ведутся в основном силами курсантов и преподавательского состава. Даже беглое знакомство с создаваемыми здесь макетами, тренажерами и другим необходимым для физподготовки оборудованием позволяет оценить эффективность творческого поиска создателей спортзала, который, после завершения работ, обещает стать уникальным спортивно - подготовительным центром. Здесь же, в подвальных помещениях рядом со спортзалом осуществляется создание восстановительно - реабилитационного комплекса с душевыми, сауной, видеосалоном, электронно-лазерным тиром и многими другими служебно-бытовыми помещениями.

«Все проводимые работы направлены на повышение качества учебно-воспитательного процесса, укрепление дисциплины, создание здорового морального климата на факультете, — говорит подполковник милиции Ю. Забояркин, — главный акцент мы делаем на активизации живой, творческой работы с людьми, стремимся сделать все возможное для того, чтобы в нашем коллективе не было пассивных наблюдателей, чтобы учеба и труд были не «от звонка до звонка», а стали насущной потребностью каждого, приносили моральное удовлетворение. Большую роль в этом плане призвана сыграть и отчетно-выборная кампания в парторганизациях.

В нынешнем году как никогда тщательно производился набор слушателей на первый курс. Из принятых более трети — коммунисты, 15 слушателей поступили на факультет по рекомендациям воинских частей, трое — после выполнения интернационального долга в ДРА. Есть у нас и некоторые новшества. Так, например, для укрепления связи теории с практикой в двух крупных подразделениях МВД ГССР созданы на общественных началах кафедры оперативно-розыскной деятельности, на которых будут проходить практику слушатели факультета, разработан договор о творческом сотрудничестве с юридическим факультетом ТГУ, по инициативе руководства министерства достигнута договоренность и будет произведен обмен слушателями с Горьковской и Омской высшими школами милиции».

...Заканчивается праздничный митинг. Чеканя шаг проходят перед трибуной стройные колонны слушателей и через несколько минут в коридорах учебных корпусов факультета воцаряется тишина. Начались занятия...

А. ЛЬВОВ.



Фото Р. Антоняна

## საკორესპონდენტო პუნქტიდან გვატყობინებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ასეთია დროის მოთხოვნა

თელავის რაიონში ჩატარდა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კვირეული, რომელშიც მონაწილეობდნენ თელავის შს რაიგანყოფილების მუშაკები, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის რაიონული კომისიის წარმომადგენლები.

### დახმარება აღმოუჩინა

მახარაძეში მცხოვრები ვ. ხებისკვერაძე თელავის რაიონის სოფელ ფშაველში ახლობლის დაკრძალვაზე მიდიოდა. უამინდობის მიუხედავად თელავში როგორღაც ჩამოვიდა, მაგრამ ავტობუსის მძღოლმა ფშაველში წასვლაზე უარი განაცხადა, რადგან ისეთი ბურუსი იყო, თვალთან მიტანილ თითს ვერ დაინახავდი... ვ. ხებისკვერაძემ სოფელ ნაფარაულამდე რომ მიაღწია, ღამის ორი საათი იყო.

ამ დროს ბედად გამოჩნდა ავტომანქანა, რომლის მძღოლმაც თვითონ შესთავაზა ხებისკვერაძეს, საჭიროების ადგილზე მიგიყვანო. ეს ყურადღებიანი კაცი, იყო უბნის ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ვ. აივაზოვი.

ბ. ახალმოსულიშვილი.

# ОЧЕРЕДНОЙ НОМЕР «СМ»

Вышел в свет очередной, восьмой в нынешнем году, номер журнала «Советская милиция». Под заголовками «Поддержать и помочь в работе», «Главный критерий — дело!» в номере опубликованы материалы, в которых речь идет о роли и задачах органов внутренних дел по выполнению решений июньского (1987 г.) Пленума ЦК КПСС.

О совещании участковых инспекторов милиции Московской области, в работе которого принял участие министр внутренних дел СССР генерал-лейтенант А. В. Власов, рассказывается в материале «С вас начинается большая работа». Под рубрикой «Решения XXVII съезда КПСС — в жизнь!» в номере помещено интервью с заместителем министра внутренних дел СССР генерал-майором милиции Б. В. Заботиным. Кроме этого в журнале опубликованы обзор писем читательской почты под рубрикой «Перестройка: опыт, проблемы, суждения», очерк об одном из сотрудников советского уголовного розыска 20—30-х годов И. Свитневе.

# პრობლემების მიუხედავად

**ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის წარმატებაში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი უბნის ინსპექტორთა სამსახურს აკისრია. ჩვენი რესპუბლიკის მთავრობა ამ საკითხს დიდ ყურადღებას უთმობს, დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისად უბნის ინსპექტორების კომპეტენტურობის, პროფესიონალური დონის ამაღლება უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქცა. დასამალი არაა — უბნის ინსპექტორების მუშაობა ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მათ წინაშე წაყენებულ მოთხოვნებს.**

**რა უშლის ხელს ნაკლოვანებების გამოსწორებას? რა პრობლემებია ამ მხრივ ქ. თბილისში? — ამ საკითხზე გვესაუბრება თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის განყოფილების უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი მ. ლუდუშაური.**

**— ბატონო მერაბ, სულ რამოდენიმე დღის წინ, თქვენ მონაწილეობდით პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში გამართულ თათბირში, სადაც დღის წესრიგში უბნის ინსპექტორთა მუშაობის საკითხი იდგა. თათბირზე ყურადღება გამახვილდა იმ პრობლემებზე, რაც ხელს უშლის უბნის ინსპექტორთა შედეგიან მუშაობას....**

— დიახ, გადაუჭრელი პრობლემები არცთუ ისე ცოტაა: ქალაქის მილიონ ორასი ათასზე მეტ მცხოვრებს, დადგენილ ნორმაზე ნაკლები უბნის ინსპექტორი ემსახურება, თუ ამას დავუმატებთ უამრავ სასწავლებლებს და სხვა დაწესებულებებს, ნათელი გახდება, რა მოცულობის სამუშაოები აკისრიათ მათ. ამასთანავე ხშირია შემთხვევები, როდესაც უბნის ინსპექტორებს ისეთ დავალებებს აძლევენ, რაც მათ ფუნქციებში არ შედის. ამის მაგალითები იყო ორჯონიკიძის, 26 კომისრის, ოქტომბრის, პირველი მაისის, საბურთალოს და კიროვის რაიონებში. ბევრ საკითხში უბნის ინსპექტორებს სათანადოდ არ უჭერენ მხარს შს რაიგანყოფილებების სხვადასხვა სამსახურები, ადგილობრივი სახელმწიფო ორგანიზაციები. დაცვის საზოგადოებრივი პუნქტები ხომ თითქმის ფორმალურად არსებობენ, პრობლემების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. დღევანდელი მოთხოვნების პირობებში კი მათაც სჭირდებათ ხელის შეწყობა. 60-მდე ინსპექტორს სამუშაო ოთახიც არა აქვს. 70-ზე მეტს — სამსახურებრივი ტელეფონი. სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. დასამალი არაა, რომ უბნის ინსპექტორთა გარკვეული ნაწილი უბინაოდაა.

**— ალბათ არსებობს სათანადო დადგენილება, სადაც უბნის ინსპექტორებს ბინების განაწილების დროს გარკვეული უპირატესობა ენიჭებათ...**

— დადგენილება იმის თაობაზე, რომ უბნის ინსპექტორი უზრუნველყოფილი უნდა იყოს საცხოვრებელი ფართით იმ ადმინისტრაციულ უბანში, რომელსაც ემსახურება მიღებულია, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც რაიაღმასკომები გვერდს უვლიან სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის დადგენილებებს და იმას იმიზეზებენ, რომ დადგენილებაში პირდაპირ არაა მითითებული იმის შესახებ, რომ უბნის ინსპექტორი პირველ რიგში უნდა დაკმაყოფილდეს ბინით. ასეთი მაგალითი იყო კიროვის რაიონში.

**— ბატონო მერაბ, ის, რაც თქვენ ბრძანეთ, არ ამართლებს ზოგიერთი უბნის ინსპექტორის სუსტ მუშაობას...**

— რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ბევრ საყვედურს ვღებულობთ მოსახლეობიდან, რომლებიც მათ არაკომპეტენტურობას უჩივიან, არადა უმრავლესობას შესაბამისი იურიდიული თუ სხვა განათლება აქვს მიღებული. ატესტაცია უკვე ჩავატარეთ და ეს საკითხი დღის წესრიგში დგას, მინდა აღვნიშნო, რომ ატესტაციის შემდეგ 7 ინსპექტორის საკითხი გადაეცა კომისიას განსახილველად მათ პენსიაზე გაშვებასთან დაკავშირებით. კვლავ არადამაკმაყოფილებელია საზოგადოებრიობასთან კავშირი.

**— როგორია უბნის ინსპექტორების წვლილი ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში?**

— ქალაქში აღრიცხვაზე მყოფ ასობით ნარკომანიდან უბნის ინსპექტორების მიერ გამოვლენილია მხოლოდ 22,9 პროცენტი. ეს თავისთავად დაბალი მაჩვენებელია. რაც შეეხება ლოთობის და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში უბნის ინსპექტორების წვლილს, აქაც მუშაობის ძირეული გაუმჯობესება გვმართებს.

**— მუშაობის გაუმჯობესება ალბათ სხვა სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაშიც არის საჭირო...**

— სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვხვდება სხვადასხვა სახის სერიოზული დანაშაულობები: სპეკულაციის, სისხლის სამართლის, არაშრომითი შემოსავლის და სხვა. ქალაქში კვლავ არიან მუქთახორები, მაწანწალები, მათხოვრები... მათ წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. მაგალითად: ქალაქში მხილებული 200 სპეკულანტიდან უბნის ინსპექტორთა ინიციატივით მხოლოდ ერთია გამოაშკარავებული. ასეთი შედეგი გვაფიქრებინებს, რომ ინსპექტორები მათ მფარველობენ. ამიტომ გადამჭრელი ზომები უნდა მივიღოთ, ჩვენს შორის ულირსმა არ უნდა იბოგინოს. გასაუმჯობესებელია სასჯელმოხდილთა შრომითი დასაქმების დროულად გადაწყვეტის საკითხიც. ისევე როგორც სხვა ზემოთჩამოთვლილი საკითხები, რომლებიც ცალკე საუბრის საგანია.

ესაუბრა
ვ. ნადირაძე.

**P. S.** აღნიშნული პრობლემები უბნის ინსპექტორების საქმიანობის ძირეულ გაუმჯობესებას მოითხოვს, მათი მუშაობის თითოეული საკითხი ცალკე ყურადღების ღირსია და ამიტომ მას რედაქცია პერიოდულად დაუბრუნდება.

# „პარტიული სიტყვა“ №16

**ჟურნალის** ეს ნომერი იხსნება „უჩიტელსკაია გაზეტას“ კორესპონდენტთან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯუმბერ პატიაშვილის საუბრის მონაკვეთით.

ნომერში დაბეჭდილია საუბარი „მრგვალ მაგიდასთან“, რომელიც ჟურნალის რედაქციამ მოაწყო კავკასიონის საუღელტეხილო გზის მშენებლობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. „სიახლის იმედისმომცემი ნაბიჯები“ — ასეა დასათაურებული ც. შავგულიძის წერილი.

ჟურნალი ბეჭდავს, აგრეთვე, წერილებს ვ. ჩხიკვაძის — „სოციალიზმის პოლიტიკური სისტემა (ქვეყნის დაჩქარებული სოციალისტურ-ეკონომიკური განვითარების პირობებში)“ ფ. მახარაძის — „შუქი მიწისქვეშეთიდან“; ი. ახუაშვილის — „დივიზიონი დაილუპა“.... და სხვა მასალებს.

# БЕЗ ВНЕШНИХ ЭФФЕКТОВ



Раскрытие сложных и запутанных преступлений требует от оперативного работника кропотливой и напряженной работы, творческого подхода к каждому конкретному случаю. Профессиональное мастерство приходит не сразу, оно вырабатывается годами и особую роль в становлении молодых сотрудников органов внутренних дел играет изучение опыта оперативно-служебной деятельности, накопленного их старшими товарищами, ветеранами советской милиции.

Почетное место в ряду тех, кто посвятил свою жизнь нелегкой борьбе с преступностью по-праву занимает Ной Григорьевич Хурция, более тридцати трех лет проработавший в ОВД республики. Ныне пенсионер, майор в отставке, коммунист Н. Хурция был участником Великой Отечественной войны, его многолетняя работа по линии уголовного розыска была отмечена нагрудным знаком «Отличник милиции», медалями «За безупречную службу» всех трех степеней, многочисленными почетными грамотами и благодарностями руководства МВД ГССР. Работу Н. Хурция по раскрытию преступлений отличали высочайший профессионализм, энергия и целеустремленность поиска. Вот только один эпизод из его богатой служебной биографии.

В конце 50-х годов Ной Григорьевич, тогда еще молодой оперуполномоченный УР, был переведен на работу в г. Поти. Здесь он ознакомился с материалами одного нераскрытого в течении года преступления. Житель г. Поти К. внес в городское отделение милиции заявление о том, что пропала его жена — ушла из дому и не вернулась. Н. Хурция изучил личность К. и ему показалось подозрительным довольно легкомысленное поведение последнего за период, прошедший после исчезновения его жены. Однако прямых улик не было, ничего не дал и опрос К., отстаивавшего свою первоначальную версию.

Взяв в помощники старшего инспектора УР П. Сергия, Хурция начал все сначала. Три месяца упорной и методичной работы ушло на сбор сведений, вещественных доказательств. Были найдены спрятанные К. деньги, принадлежавшие его супруге. Была установлена любовница К., у которой он хранил вещи жены. Постепенно, путем сопоставления разрозненных фактов, прояснилась картина преступления. Изучение психологии подозреваемого позволило Н. Хурция спланировать допрос таким образом, что К., под нажимом многочисленных неопровержимых доказательств, наконец, признался в убийстве жены, рассказал все страшные подробности совершенного преступления, сам указал место, где был захоронен труп. Так, благодаря упорству и настойчивости, четкой организации мероприятий дело было успешно завершено, преступник понес заслуженное наказание — был приговорен к двенадцати годам заключения.

Это раскрытое дело не содержит романтичных элементов погонь и перестрелок, но поучительно именно неброской, но эффективной работой настоящего мастера своего дела.

Подготовил А. ЦАТУРОВ.

## ХРОНИКА

**Приказом министра внутренних дел ГССР за образцовое исполнение служебных обязанностей, инициативу и профессиональное мастерство, проявленные при этом награждены нагрудными знаками «За отличную службу в МВД» старший оперуполномоченный отделения уголовного розыска Первомайского РОВД г. Тбилиси капитан милиции Бардавелидзе Григорий Вахтангович, старший инспектор охраны оргштатного отделения УВО МВД ГССР капитан милиции Оганесян Сергей Эдуардович и начальник отдела технических средств охраны УВО МВД ГССР подполковник милиции Фоменко Евгений Николаевич.**

—◆—

**Приказом министра внутренних дел ГССР начальник отделения ГАИ МВД Аджарской АССР полковник милиции Джанелидзе Иван Викторович назначен на должность начальника отдела внутренних дел Батумского горисполкома.**

—◆—

**Приказом министра внутренних дел ГССР начальник отдела технического надзора и учета автомототранспорта УГАИ МВД ГССР подполковник милиции Саришвили Сергей Константинович назначен командиром подразделения патрульно-постовой службы УВД Тбилгорисполкома.**



## ჩემი ცხოვრების გზას მივაგენი...

**მისი** ძველი პროფესია სამთო ინჟინრობა გახლავთ — 1978 წელს პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა. ამჟამად რესპუბლიკის შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოს ოპერრწმუნებული, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ზ. კობერიძე საკავშირო შს სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის მესამე კურსის მსმენელია.

ზურაბის სამთოელობა ტყუილად არ გვიხსენებია, გამოადგა იგი ზურაბს: მიმდინარე წლის მაისის თვეში ერთ-ერთი თბილისელი მოქალაქის ბინაში ორი „მდგმური" ჩასახლდა. მომსვლელებმა მასპინძელს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებად გააცნეს თავი. სახლის პატრონს ეჭვიც არ შეპარვია მათ სტუდენტობაში. სახაზავი დაფით, ნახაზებით, კონსპექტებით გაივსო ოთახი...

გარკვეული დროის შემდეგ ბინას სხვა „სტუმარიც" ეწვია, რომელსაც დიდხანს ელოდნენ „მდგმურები" — ზ. კობერიძე და მისი კოლეგა ტ. ალიბეგაშვილი. ასე წარსდგა მართლმსაჯულების წინაშე 3 წელიწადს საკავშირო ძებნაში მყოფი, განსაკუთრებულად საშიში რეციდივისტი დ. ნადირაძე.

ზ. კობერიძე შინაგან საქმეთა ორგანოებში სამუშაო საკუთარი განცხადებით მოვიდა, ჯერ სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოში იმუშავა ინსპექტორად, შემდეგ სისხლის სამართლის სამძებროში გადავიდა.

მიყვარს ჩემი სამუშაო, ხალხის მტრებთან, არაკაცებთან ბრძოლა. მომავალშიც არ ვაპირებ ვუღალატო არჩეულ საქმეს, ჩემი ცხოვრების გზას მივაგენი — მითხრა ზურაბმა.

იგი ამჟამად შს სამინისტროს კომკავშირის კომიტეტის წევრია, და თავისი სამსახურის კომკავშირულ ორგანიზაციას თავკაცობს. წარსულში სპორტითაც იყო გატაცებული. ფიზიკურად საკმაოდ ძლიერი ახალგაზრდაა, მაგრამ მარტო ფიზიკური სიჯანსაღე რა მოსატანია იმ სიმამაცესთან, გამჭრიახობასთან და ოპერატიულობასთან მის საქმიანობაში რომ ვხვდებით. ამის დასტური თუნდაც ერთი ფაქტია: 1987 წლის ზამთარში მან ქუთაისში დააკავა ნარკოტიკების რეალიზატორი, უკრაინიდან ჩამოტანილი ჩამორთმეული საწამლავის წონა 12 კგ იყო!

წარმატებები საქმიანობაში კი აუცილებლად ექნება ზურაბს, თუ იგი კვლავ ასეთი მონდომებით ემსახურება არჩეულ პროფესიას.

ქ. ანდრიაძე

## ТОЛЬКО ФАКТЫ

◆ 31 августа сотрудниками ОУР УВД г. Тбилиси совместно с представителями ТК ЛКСМ Грузии был задержан наркоман М. Усупян, который уложен в республиканский наркологический диспансер.

◆ 31 августа сотрудниками Гальского РОВД уличены продавец Р. Колбая и заведующая магазином № 11 Гальского Горпо Л. Аркания, которые путем подделки документов похитили товарно - материальные ценности на общую сумму 35 тысяч рублей. Расследование ведет РОВД.

◆ 1 сентября в ДТП за сутки погибло 4 человека, ранено 12 человек. Всего с начала года погибло в ДТП 381 ч. (в 1986 г. — 379), ранено 1714 ч. (в прошлом году — 1814).

## мადლობა მთელ კოლექტივს



**მე,** როგორც სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდი, შინაგან საქმეთა სამინისტროს წყალტუბოს სანატორიუმ „აიაში" ვისვენებდი (უფროსი მ. იოსელიანი).

სანატორიუმში მისვლის პირველი დღიდან ვიგრძენი მთელი კოლექტივის სითბო და ზრუნვა ავადმყოფების მიმართ. აქ ყველა პირობაა შექმნილი რათა ადამიანმა კარგად დაისვენოს და იმკურნალოს.

მოსამსახურე პერსონალი უსიტყვოდ, პატიოსნად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას, ამიტომაა, რომ სადაც არ უნდა გაიხედო ყველგან სისუფთავე და წესრიგი სუფევს....

კვების ობიექტში მზადდება მრავალფეროვანი და გემრიელი კერძები, მათ ხარისხზე და რაოდენობაზე არავის პრეტენზია არ აქვს...

ყველა დამსვენებლის სახელით მსურს მადლობა გადავუხადო სანატორიუმის ყველა მუშაკს მზრუნველობისა და სანიმუშო მომსახურებისათვის.

ა. კუპრაძე
გარდაბნის რაიონი.

## «ГОРЖУСЬ СВОЕЙ ПРОФЕССИЕЙ...»

ОЧЕРК

**Сложен и многообразен труд следователя: ему приходится разбираться и в вопросах науки и техники, и в технологии производства, и в экономической и хозяйственной деятельности предприятий. И в каждой конкретной ситуации надо быть на высоте положения, иначе знатоки в своей области могут легко запутать следователя. Поэтому сотрудники следственных аппаратов должны постоянно работать над собой, совершенствовать свои знания в различных отраслях науки.**

**Именно таким, постоянно работающим над повышением своего профессионального мастерства, и является старший следователь Грузинского УВДТ майор милиции Ушанги Варламович Иараджули.**



Родился он в небольшой деревушке. Детство его проходило в тяжелые для страны годы восстановления разрушенного войной народного хозяйства и на долю мальчика, оставшегося без родителей, выпали серьезные испытания и лишения. Однако учился он всегда с увлечением, любил читать и характер его формировался под впечатлением мужественных и целеустремленных литературных героев, борцов за идеалы добра и справедливости. Тогда же было принято решение стать офицером милиции и сейчас Ушанги Варламович считает одним из самых счастливых дней жизни тот, когда в списках зачисленных в университет на юридический факультет он увидел свою фамилию.

У. Иараджули часто приходится расследовать сложные дела. К сожалению, пока еще встречаются люди, паразитирующие на недостатках нашей экономики, присваивающие плоды чужого труда, поэтому работы хватает.

В современной литературе, кинематографе создался определенный стереотип следователя, способного с большой легкостью и быстротой распутывать самые сложные преступления. В повседневности же все не так легко и просто. Ушанги Варламович вспоминает одно чрезвычайно запутанное дело, которое ему пришлось расследовать несколько лет назад в Западной Грузии. Проводившееся до него расследование зашло в тупик и тогда дело было поручено У. Иараджули.

Ознакомившись с двенадцатью томами дела он начал все сначала. Планомерно и кропотливо начал собирать все необходимые сведения на причастных к делу 9 человек, большинство из которых были закоренелыми преступниками «со стажем». Трудностей было много, но помогли природный дар и профессиональная интуиция. После шести месяцев упорной работы дело было успешно закончено, преступники понесли заслуженное наказание. За расследование этого дела У. Иараджули приказом министра МВД ГССР был награжден именными часами.

«Наша работа нелегка, мы несем особую ответственность перед обществом, государством. Каждое преступление должно быть наказано и деятельность следователя направлена на то, чтобы изобличить преступника, изъять общества от тех, кто мешает людям нормально жить и трудиться, — размышляет о своей профессии У. Иараджули, — Но при этом мы не имеем права на ошибку — ведь в этом случае может пострадать ни в чем не повинный человек. Даже если через некоторое время установить истину, я считаю, что это не будет исправлением ошибки. Человеку можно вернуть доброе имя, но как излечить нанесенную ему моральную травму? Поэтому при расследовании нужно соблюдать крайнюю осторожность в выводах, внимательно относится к людям...» В этих словах — весь характер Ушанги Варламовича, чуткого, отзывчивого человека, мудрого и опытного наставника молодежи.

Работа следователя отнимает много времени, зачастую приходится засиживаться допоздна. Однако четкое выполнение служебных обязанностей коммунист У. Иараджули успешно совмещает с общественной деятельностью. Он — член партийного бюро, вот уже более двух лет является редактором стенной газеты управления. Круг интересов его разнообразен — У. Иараджули более десяти лет занимается спортом, является мастером спорта по самбо, увлекается рисованием, очень любит народные песни. А все свободное время отдает детям, интересуется их делами и увлечениями, часто вместе с ними выезжает на природу.

Но основным в его жизни была и остается работа, которой он отдается весь, без остатка. «Не люблю громких слов, но со всей искренностью могу сказать — я горжусь своей профессией, тем, что я следователь...», — говорит Ушанги Варламович. Наверное именно в этой любви к раз и навсегда избранному делу и кроется секрет его успешной работы, по достоинству оцененной руководством. За 29 лет службы У. Иараджули имеет сорок благодарностей, награжден пятью медалями и нагрудным знаком «Отличник милиции». Хочется пожелать ему дальнейших успехов в работе, прежней энергии и целеустремленности в служении людям и любимому делу...

М. МОВСЕСЯН.

## ერთი საკითხი—ორი მიდგომა

**ამ წერილის სათაური ალბათ გაამართლებს ქვემოთ მოყვანილ ფაქტებს. ჩვენი საუბარი წესრიგის დამცველთა მაღალპროფესიულ, ოპერატიულ და საქმისადმი პასუხისმგებლურ მიდგომას ეხება. აქვე მოვიყვანთ საქმისადმი არაკეთილსინდისიერი, გულგრილი და ზერელე დამოკიდებულების ფაქტებსაც.**

**14 აპრილს ორი მსუბუქი ავტომანქანა „ვაზ-2106" და „ვაზ-2103" გადამეტებული სიჩქარით მიჰქროდა თბილის-მანგლისის გზაზე, მათი ასეთი „ქროლვა" არ უნდა გამორჩენოდათ წესრიგის დამცველთ, იმათ, ვინც მართლა კეთილსინდისიერად და მთელი პასუხისმგებლობით ეკიდება მინდობილ საქმეს და ეს ასეც მოხდა. ოპერატიულ შემოვლაზე მყოფმა თეთრიწყაროს შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკებმა მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა გ. ისაკაძემ, ლეიტენანტმა ა. ბექაურმა და რიგითმა ა. თოხმახოვმა სოფელ ორბეთში გზა გადაუღობეს მოჭირითე მძღოლებს. გავიდა სულ რამოდენიმე წუთი და ყველაფერი ნათელი გახდა — მანქანებში 220 ბოთლი სარეალიზაციოდ გამზადებული „რუსსკაია ვოდკა" აღმოჩნდა. საქმე კანონის ძალით წარიმართა. ეჭვმიტანილი პირები თავიანთი „ავლა-დიდებით" თეთრიწყაროს შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში მიაბრძანეს.**

**აი ისინიც: ქალაქ თბილისში მცხოვრებნი ვ. სამადაშვილი და შ. თანდაშვილი. ლაბორატორიული წესით შემოწმების შემდეგ დადგინდა, რომ 200-ვე ბოთლში ფალსიფიცირებული არაყი იყო ჩასხმული, მაგრამ მილიციის მუშაკებს წინ კიდევ ერთი სიურპრიზი ელოდათ. ზემოთ დასახელებულ „ალქიმიკოსებს" თურმე თბილისში, ვაზისუბნის დასახლების II მიკრორაიონის VI კორპუსში საკუთარი არყის „საწარმო" გაეხსნათ, დიახ საწარმო, სადაც ჩხრეკის დროს ამოღებული იქნა 60 ლიტრი სპირტი, 25 ლიტრი ფალსიფიცირებული არაყი, 20 ბოთლი უკვე იარლიყ მიწებებული, სარეალიზაციოთ გამზადებული არაყი, 654 ცალი ხუფი და რამდენიმე სახუფავი ხელსაწყო.**

**თეთრიწყაროს სახალხო სასამართლომ „გაითვალისწინა" ყოველივე ეს და „საწარმოს მეპატრონეთ" საკადრისი მიუზღა — ვ. სამადაშვილი საყვარელ საქმეს შვიდწლიწადნახევრით ჩამოშორდა, ხოლო შ. თანდაშვილი 6 წლით.**

**ახლა რაც შეეხება მეორე მხარეს: ვ. სამადაშვილი და შ. თანდაშვილი ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის მკვიდრნი არიან, პირველი წულუკიძის IV შესახვევში ცხოვრობს, მეორე კი ვაზისუბნის დასახლებაში. მათ ერთმანეთი 1987 წლის თებერვალში გაიცნეს და იოლად ფულის შოვნაც გადაწყვიტეს. ისინი დაახლოებით ორი თვის მანძილზე თავისუფლად მოქმედებდნენ და მათი „მოღვაწეობა" არავითარ ეჭვს არ იწვევდა. დავამატებთ იმასაც, რომ სამადაშვილი ადრე ნასამართლევია და იმ პერიოდში უმუშევრობაზე არაერთხელ იყო გაფრთხილებული. ბუნებრივად იბადება კითხვა: როგორ უნდა გამორჩეთ უბნის ინსპექტორებს, მათზე განპირობებულ უბანში ასეთი „ტანდემის" საქმიანობა? და ეს მაშინ, როცა დღეს ასეთი მასშტაბებითაა გაშლილი ბრძოლა ალკოჰოლიზმის, ლოთობის, სპირტიანი სასმელების არაკანონიერად დამამზადებელთა მიმართ. ეს დაუდევრობის, ზერელე დამოკიდებულების და საქმისადმი არაპროფესიული მიდგომის მაგალითია.**

ზ. გომართელი.







**სურათზე:** ჩამორთმეული ფალსიფიცირებული არყის დასამზადებელი ატრიბუტები.



# ჩვენი სტუმარია „ნიანგი“

რესპუბლიკის მრავალრიცხოვან ჟურნალ-გაზეთებს შორის სატირულ-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“ ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ყველაზე აქტიურად იბრძვის ჩვენს ცხოვრებაში არსებული ყოველგვარი ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ, იუმორითა და საქმიანი სატირით ამხელს სოციალისტური საზოგადოების მანკიერ გამოვლინებებს. ამასთანავე ჟურნალი საქართველოს სსრ შს სამინისტროს სახავტოინსპექციასთან ერთად უშვებს სატირულ-იუმორისტულ ბუკლეტს „გზაჯვარედინებზე“. „ნიანგის“ რედაქცია სიამოვნებით დათანხმდა ჩვენს თხოვნას და ამიერიდან იგი ჩვენი გაზეთის ხშირი სტუმარი იქნება.

## ბალადა „რაფზე“

მიმაქროლებს ჩემი „რაფი“ აბასთუმნის შარაგზაზე!
გადარევით, „რადარებით“ ინსპექტორი გავაბრაზე!
გავიფიქრე: „ვოლგაში“ ვარ, ვერვინ მოვა ჩემზედაო!
გადვიხედე — დავინახე ინსპექტორი სერზედაო!
წინ მოტოციკლი ეყენა, დაგეშილი ჩემზედაო!
გავექეცი ამომიდგა მაყარივით გვერდზედაო!
აღმართში მე გავუსწარი, იმან თავდაღმართზედაო!
გზა მომიჭრა გადამიდგა აბასთუმნის წყალზედაო!
„აბა ამას ჩაჰბერეო!“ მაწოდებდა რაღაც თასებს,
მე მეგონა ჩაის ჭიქა — ატენური ღვინით სავსე!
გადმომიღეს ჩემ „რაფიდან“ სხვა ტრანსპორტში
მომათავსეს,
ის გამოსაფხიზლებელი ძმაკაცებით იყო სავსე!...
აგაშენა ინსპექტორო, აღარასდროს ჩავიჭრები:
ახე როგორ მომიგროვე ამოდენა ძმაბიჭები?!

ქართლოს კასრაძე.

## ინტერვიუ „კანონიერ ქურდთან“

— ამ საახალწლოდ რას ფიქრობ, ახალ წელს მშვიდად თუ ხვდები?
— აფსუს, რა „თბილად“ ვიყავით „კანონიერი“ ქურდები!...
მაგრამ ბოლო დროს კანონმა გვიცვალა გულიც, იერიც,
ჩვენც კანონს დავემორჩილეთ ქურდები „კანონიერი“!.
დავრწმუნდით ფონს ველარ გავალთ მრუდობით . „გაიმახვნებით“.
სასინანულოდ გვეყოფა, რაც დავაშავეთ რაც ვქენით
დღეიდან შრომის ფერხულში მეც ვდგები სხვების მხარდამხარ
რომ აღარ ეზარებოდეს მშრომელ კაცს ჩემი დანახვა!
— ეგრე ქენ, სწორ გზას დაადექ, არაკაცობა გეყოფა!
უთავობა სჯობს, თუ თავი ქვეყნად არ გამოგეყოფა!

ნოდარ შამანაძე



უსიტყვოდ



ვ. ქუთის ნახატები

მოჯადოებული წრე

# ინტერვიუ არდალიონ წრუპიაშვილთან

იუმორესკა

ამას წინათ ჩვენმა კორესპონდენტმა ბიჭია ფხიზელაურმა, დილაუთენია ძლივს მიუსწრო ფხიზელს გამოუსწორებელ და გადასწორებულ ლოთს არდალიონ წრუპიაშვილს სარდაფში და სთხოვა სმის დაწყებამდე ეპასუხა რამოდენიმე შეკითხვაზე (ამ ინტერვიუს გთავაზობთ ძალზე შემოკლებით ავტორის უნებართვოდ):

— **როდის დაიწყეთ სმა?**

— რძის სმას რომ თავი დავანებე.

— **ძირითადად როდის სვამთ?**

— ძირითადად ვსვამ ჭამის წინ, ჭამის დროს და ჭამის შემდეგ!

— **მაშ, როდისღა არა სვამთ?**

— არა ვსვამ ძილის დროს!

— **კი მაგრამ დღეს რომ ლოთობას სასტიკად ვებრძვით, შენ სადღა სვამ ამდენს?**

— ვსვამ ჩუმად, სარდაფში, იქ ვერც ცოლი დამინახავს, ვერც მეზობელი და ვერც უბნის ინსპექტორი...

— **სად მუშაობთ?**

— არასაუწყებო დაცვის ყარაული ვარ, მთელი ღამე მძინავს, ისიც მთვრალს.

— **ამ ბოლო ათი წლის მანძილზე ფხიზელი ყოფილხართ საერთოდ?**

— როგორ არა დათრობამდე ყოველთვის ფხიზელი ვარ!

— **ცხოვრებაში რაიმე სასარგებლო საქმიანობას ეწევით?**

— ვეწევი სიგარეტს.

— **რას უსურვებდით რუსთავსა და რუსთაველებს?**

— ვუსურვებდი მილიციის ძველი შენობა გამოღმით, 46 კვარტალში გადმოეტანოთ!

— **რატომ?**

— რატომ და იქვე, ტყე-პარკში გადასარევი საქეიფო ადგილებია, მაგრამ მაგათი შიშით იქ ფხიზელიც ველარ ჩავსულვარ!

— **რას გვეტყოდით თქვენს მომავლის გეგმებსა და პერსპექტივებზე?**

— თუ საგარეჯოში არ გამგზავნეს სამკურნალოდ და თუ ჯანმრთელობამაც შემიწყო ხელი, გადაწყვეტილი მაქვს მეზობლებს უანგაროდ დავეხმარო დაძმარებამდე მისული სასმელების დროულად რეალიზაციაში!

**კორესპონდენტისა და ნამთვრალევი ლოთის საუბარი ჩაიწერა ფხიზელმა**

ვანო ცინცაძემ.

# სპორტი — СПОРТ

# НОВЫЙ ТРЕНЕР «ДИНАМО»

**2 сентября футболисты тбилисского «Динамо» встретились на своем поле с армейцами Москвы и добились победы со счетом 1:0 (гол на 77 минуте забил С. Чедия).**

Перед очередным матчем чемпионата страны с армейцами Москвы команду тбилисского «Динамо» возглавил заслуженный тренер СССР Герман Зонин. Сегодня мы публикуем (с сокращениями) беседу корреспондента ГРУЗИНФОРМа с новым тренером динамовцев.

**Каковы ваши обязанности в команде?**

Отныне я — старший тренер «Динамо». Вместе со мной будет работать и Кахи Асатиани, который принял мою просьбу остаться в «Динамо» хотя бы до конца сезона.

**Вы пришли в «Динамо» в очень трудное для него время. Согласитесь, это связано с определенным риском.**

Прежде чем согласиться возглавить вашу команду, я трезво оценил возможности и свои, и динамовцев. Раз меня назначили на этот пост, значит мне верят. Но согласитесь и вы, одни тренеры не справятся со столь сложной задачей, какая стоит перед командой. Только дружно взявшись за дело, мы общими усилиями сможем найти выход из сложного положения.

**Нынешний сезон показал, что в команде немало проблем. Как вы надеетесь их решить?**

Думается, что динамовцы надломлены психологически от длительной полосы неудач. Сейчас главное — укрепить их морально, вернуть игрокам уверенность в своих силах. Я убежден, что многие из тбилисцев по своим индивидуальным качествам не уступают футболистам других, в том числе и ведущих клубов страны. Но что касается создания из индивидуальностей полноценного коллектива, то придется серьезно поработать в этом направлении. Для этого нужно совершенствовать физическую подготовку, а также четко продумать и воплотить на поле тактический рисунок игры.

**Грузинские болельщики устали ждать успехов своих любимцев. Что бы вы хотели передать людям, верящим в «Динамо»?**

Футбол без болельщиков не бывает. Грузинские любители футбола не нуждаются в моих комплиментах. Об их объективности и компетентности писалось не раз. Мы надеемся, что на финише чемпионата, когда нам предстоит провести несколько ответственных игр, тбилисские болельщики вновь докажут свою преданность любимому клубу.

**Как вы оцениваете перспективы динамовцев во встречах с софийским «Локомотивом»?**

Речь идет о престиже не только грузинского, но и всего советского футбола. Соперник у нас серьезный. Но мне думается, что тбилисцы сумеют проявить свои лучшие качества и порадуют поклонников хорошей игрой.



## კვირის კალენდარი

8 **სექტემბერი** — ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო დღე.

11 **სექტემბერი — 110 წლის წინათ დაიბადა ფ. ე. ძერჟინსკი.**

12 **სექტემბერი** — მოსკოვის მოწინავე საწარმოების ინიციატივით ტარდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობა.

ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА НА ЖУРНАЛ

«СОВЕТСКАЯ МИЛИЦИЯ» НА 1988 ГОД

Подписка осуществляется среди личного состава органов и подразделений внутренних дел, воинских частей и учебных заведений МВД СССР, а также среди работников партийных, советских, комсомольских органов, сотрудников КГБ, суда, прокуратуры, юстиции, членов добровольных народных дружин, оперативных комсомольских отрядов, пенсионеров органов внутренних дел.

Штабы ДНД, ОКОД, советы профилактики на предприятиях, общественные пункты охраны порядка оформляют подписку через агентства «Союзпечать» по согласованию с местными органами внутренних дел (начальники ГРОВД или их заместители ставят штамп на обратной стороне подписных документов).

Общественные распространители, проведя подписку среди личного состава органов внутренних дел и членов ДНД, ОКОД, заполняют абонемент и доставочную карточку обычных образцов и вместе с подписной платой сдают в районное (городское) агентство «Союзпечать».

Установленные бланки подписных документов приобретаются в агентствах «Союзпечать». Все вопросы, связанные с оформлением подписки на журнал, его доставки и переадресовки, решаются агентствами «Союзпечать».

Подписная цена 4 рубля 80 копеек. Индекс журнала 70941.

Окончание подписки — 1 ноября 1987 года.

## წარსულის სტრიქონები

# მილკორთა საქალაქო თათბირი

**24 თებერვალს** მილიციის კლუბში შესდგა მილიციის ტფილისის გარნიზონის პარტორგანიზაციების, კედლის გაზეთის დერკოლეგიის წევრების და მილკორთა გაფართოებული თათბირი.

თათბირზე ძირეული პრესის ამოცანების შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. ოფსიანიკოვი და პოლიტგანყოფილების უფროსის თანაშემწე ამხ. გ. ჭელიძე.

მოხსენების დასრულების შემდეგ გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ამხ. არუთინოვმა (მე-3 განყოფილება), კოკაიამ, ასაშვილმა (მე-4 განყოფილება), სეფისკვერიძემ, ჯანუაშვილმა, გოზალაშვილმა და სხვ.

გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ სამილიციო დანაყოფების კედლის გაზეთების მუშაობა ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება, ზოგან სრულიად არ გამოდის კედლის გაზეთები; იქ კი სადაც გამოდის — სუსტია მილკორთა მონაწილეობა; გაზეთი კეთდება ორი და ზოგჯერ ერთი კაცის მიერ. ასე მაგალითად მე-3 განყოფილების კედლის გაზეთის რედაქტორმა რობაქიძემ არ იცის რამდენი კაცია, ან ვინ არის დერკოლეგიაში.

თათბირმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ძალზე სუსტია კედლის გაზეთებზე პარტიული ხელმძღვანელობა. ზოგჯერ პარტორგანიზატორები შეუფასებლობასაც იჩენენ ძირეული პრესის მიმართ.

გამოსული ამხანაგები უსაყვედურებდნენ აგრეთვე ბეჭდვითი გაზეთის — „წითელი მილიციელის“ რედაქციას სუსტი ხელმძღვანელობისა და დახმარებისათვის.

დასასრულ თათბირმა დასახა ღონისძიებები კედლის გაზეთების მუშაობის გარდაქმნისა და მილკორთა მოძრაობის გაშლის საქმეში.

შ. დაბაშელი.

**გაზეთი „წითელი მილიციელი“, 25 თებერვალი, 1935 წელი. სტილი დაცულია.**

**რედაქციისაგან:** ზემოთ მოყვანილი სტრიქონები ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ არის დაწერილი, მაგრამ დღესაც აქტუალურად ჟღერს, რადგან ამ ხნის მანძილზე შს განყოფილებებში კედლის გაზეთისადმი დამოკიდებულება ბევრად არ შეცვლილა. დღევანდელი გარდაქმნის პირობებში ქვედანაყოფების ხელმძღვანელობამ მეტი ყურადღება უნდა მიაპყროს თავის კოლექტივში მიმდინარე გარდაქმნის პროცესის, ოპერატიული და პოლიტიკური მუშაობის კვალიფიციურ წარმოჩენას კედლის გაზეთში და გაზეთ „მებრძოლი გუშაგის“ რედაქციისათვის მასალების ოპერატიულად მოწოდებას.

რედაქცია კვლავაც დაუბრუნდება ამ საკითხს.

## ტელევიზია

პირველი პროგრამა

**ორშაბათი 7. IX**

**20 35** — დოკუმენტური ფილმი „ალკოჰოლი და მოზარდი“.

**ოთხშაბათი 9. IX.**

**22.50** — მოქალაქე, საზოგადოება, კანონი.

**ხუთშაბათი 10. IX.**

**13.00 და 17.00** — ახალგაზრდობისათვის — სატელევიზიო კრება „ნარკომანიას — დაუნდობელი ბრძოლა!“

**პარასკევი 11. IX.**

**20.00** — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ფელიქს ძერჟინსკი“ (მოსკოვიდან).

**შაბათი 12. IX.**

**19.30** — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე „არარატი“ — „დინამო“ თბილისი.

**კვირა 13. IX**

**12.55** — ნ. დუმბაძე — „კუკარაჩა“ თბილისის მოზარდ-მაყურებელთა ქართული თეატრის ფილმ-სპექტაკლი (მოსკოვიდან).

## რადიო

**პარასკევი 11. IX.**

**19.00** — „რკინისებური ფელიქსი“, გადაცემა ეძღვნება დიდი რევოლუციონერისა და საზოგადო მოღვაწის ფელიქს ძერჟინსკის დაბადების 110-ე წლისთავს.

ჩვენი მისამართია: თბილისი 380025. გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები:
НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380025. УЛ. ГОГОЛЯ, 23 ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე 03322.

რედაქტორი
ა. კობალაძე